

სამოქალაქო

ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი

გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი



საზოგადოება

საგაზეთო ჩანართი №1

საგაზეთო ჩანართი „სამოქალაქო საზოგადოება“ კვლავ თქვენს წინაშეა, რომელიც პროექტის „თვითმმართველობის ეფექტურობის გაძლიერება მოსახლეობის ინფორმირების ახალი მეთოდების გამოყენებით“ ფარგლებში მომზადებული. პროექტს ახორციელებს **ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი „გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრთან“** პარტნიორობით.

პროექტის მიზანია ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის ორგანოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესება, მოსახლეობის ინფორმირების ახალი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.

ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობს თვითმმართველობის საქმიანობით დაინტერ-

ესებული პირების მონაცემთა ბაზის შექმნა. **გაფორმებული ანკეტა-მემორანდუმზე** დაყრდნობით ინფორმაცია დაინტერესებული პირების შესახებ აისახება შესაბამის მონაცემთა ბაზაში, სადაც თითოეული პირის შესახებ მითითებული იქნება მობილურის ნომერი და ინტერესთა სფეროები თვითმმართველობის მიმართულებით. (საგაზეთო ჩანართის მე-2 გვერდზე განთავსებულია აღნიშნული ანკეტა-მემორანდუმი და მკითხველს დაინტერესების შემთხვევაში შეუძლია შეავსოს და წარმოადგინოს მითითებულ მისამართებზე).

სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, კომისიების თუ საკრებულოს სხდომების დანიშნვიდან 1-2 დღით ადრე, საკრებულო მოახდენს შესაბამის ინტერესთა ჯგუფებისათვის მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) დაგზავნას, სხდომების დღის ნესრიგის შესახებ,

თარიღის, დროის, ადგილის მითითებით.

გამოცემაში კვლავ ვაგრძელებთ პუბლიკაციებს „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის“ მიერ გამოცემული **ალმანახიდან** – „სამოქალაქო საზოგადოება“, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა დროსა და სივრცეში შექმნილ ნაშრომებს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ღირებულებების შესახებ. ჩვენი მიზანია, მკითხველს წარმოუდგინოთ ქართული და უცხოელი ავტორების მოსაზრებები სამოქალაქო ფასეულობების როლსა და მნიშვნელობაზე.

ლევან მყავანაძე,
პროექტის კოორდინატორი

ილია ჭავჭავაძე (1837 – 1907)

ქართველი მწერალი, პოეტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე

თვითმმართველობის

შესახებ



ნიფო ხარჯის და სამსახურის ადგილობრივთა მცხოვრებთა შორის განმანაწილებელია, ადგილობრივის საზოგადოების რიგისა და წესის დამწყობია, მისი ზნეობის, პატივის, ქონების, განათლების და ერთობ კეთილდღეობის მზრუნველია.

ამგვარი მმართველობა მეტად ხელს უმართავს ქვეყნის კეთილდღეობას: ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჭკუასა და გონებას უხსნის, რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალხის უღვიძებს და საზოგადო საქმისათვის სწურთნის და ავარჯიშებს. ამგვარი მმართველობა ისეთი თვისებისაა, რომ საცა კი სურს ადამიანს, ყველგან და ყოველს ხალხში იხიერებს და ჩვეულებრივს ნაყოფს მოუტანს. იქ, საცა მაგას გზა და ადგილი ჰქონია, ყველგან ცხოვრება ადამიანისა აუყვავებია და მთავრობისათვისაც მძიმე ტვირთი ქვეყნის გამგეობის შეუმსუბუქებია, აუხსნია.

თუმცა ასეა, მაგრამ მაგ თვითმმართველობას ქვეყანაზედ ბევრი მტერი ჰყავს; ბევრს უფრთხობს ტყუილუბრალოდ ძილსა და მოსვენებასა. ამბობენ, რომ სამიშარიო — საზოგადოებას ეგ უფლება მიანიჭოს: აურზაურს მოჰყვება, თავს გაიზვიადებს და მორჩილებიდან გამოვაო



ვაჟა-ფშაველა (1862 – 1915)

ქართველი პოეტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე

რას ჰქვია

თავისუფლება?

როცა ჩვენ ნაცნობს, ან ნათესავს ატუსაღებენ, დაუყოვნებლივ მივესწრაფვით მის სანახავად ისე, როგორც სნეულსა. თან ვნანობთ: „ახ, რა ცუდი საქმე მოუვიდაო!“ რად? რისთვის? იმისათვის, რომ კაცს წაართვეს თავისუფლება, წაართვეს ისეთი რამ, რითაც ადამიანი შეანუხეს, წაართვეს სიხარული და მისცეს ვაება-ტანჯვა. თავისუფლება და ბედნიერება ერთი და იგივეა. დატუსაღებული ადამიანი უბედურადაა გრძნობს თავს: ვერა ჰსვამს და სჭამს თავის ნებაზე, ვერ ადგება, ვერც დანებება ისე როგორც თვითონ უნდა; ვერც ტანთ იცვამს, რაც მოსწონს იმას; ვერა ჰხედავს იმას ვინც უყვარს, ვერ აკეთებს იმას, რის გაკეთებაც სულით და გულით სწყურია; თავის

ნებაზე ვერ დაილაპარაკებს, თავისუფლად ფეხს ვერ გადასდგამს. უბედურ ყოფაშია ტუსაღი ჩავარდნილი. გვესმის ჩვენც მისი მდგომარეობა და გვებრალებს. რაღა უნდა ვსთქვათ, როცა დატუსაღებულია მთელი საზოგადოება, ერი, სახელმწიფო? ნადირი ან ფრინველი ცოტად მოზრდილი, თავისუფლებას ნაჩვევი, ნაგემი, რომ დაატყვევოთ, თუ ვერ მოახერხა გაპარვა ტყეში, მინდვრად, დარდისგან კვდება. მაგალითები აუარებელი ხდება. რაც უნდა კარგად მოუაროთ, ასევე, აჭამოთ, საუკეთესო ბინა მოუჩინოთ, მაინც თავისუფლად ცხოვრება ურჩევნია. მზად მირთმეულს საზრდოს, თავის შრომით, წონილით, წვალებით მონაპოვარი ეუკეთესება. სიცივე

და სიცივე არ ამინებს, ოღონდ კი თავისუფალი იყოს, თავის ნებაზე ცხოვრება, მოძრაობა შეეძლოს.

ნადირს და ფრინველს თითქმის ადამიანზე მეტად უყვარს თავისუფლება. ტრედი მშვიდი, უწყინარია და და რომ შეიპყრო: ისიც-კი გინისკარტებს- გამიშვიო, ნუ მატუსაღებო. დიაღ, ადამიანს, მით უმეტეს გაუნათლებელს, არ უყვარს თავისუფლება, არ იბრძვის მის მოსაპოვებლად იმიტომ, რომ მონობაში არის აღზრდილი, მორჩილებას, მოთმინებას არის ჩვეული და თანაც ის სიყვარულს თავისუფლებისადმი აძინებს გულში იმ მოსაზრებით, სანყალს კაცს თავისუფლებას ვინ აღირსებსო, თითქოს ხეწიფის ქალს იყოს შეყვარებული და ვერა ჰბედავს თხოვას, რადგან მისთვის ხელმიწილი არაა. აბა კარგად დაუკვირდით თუ ასე არ იყოს.

ადამიანი თავისუფალი იბადება. უცქერით ბავშვს როგორ თავისუფლად მოქმედებს, როცა შეიძლება მოძრაობას, ეპოტინება ყველაფერს, რასაც თვალს და ყური მიუწვდება; იქნებს ხელებს და ფეხებს, როცა აკვანში აწვენს დედა და ხელებზე არტახებს უჭირებს. მხოლოდ დიდების მოსაზრება, დაშლა, დაშინება ჰკვეცავს ფრთებს ბავშვის თავისუფალ მოქმედებას, რომელიც, უსამზღვრო თავისუფლებისკენ მისწრაფის ...

გაიზრდება, მოვა გონებაზე და მაშინ ხომ შინაურ უფროსებთან ერთად უჩნდება გარეთ სხვა უფროსი — საზოგადოება აუარებელი ზნე-ჩვეულებით, აზრებით, წესებით, რომელთა შორის მრავალი უფარგისი და პირდაპირ დამლუპველია ადამიანისა, შემოჭველი იმის თავისუფლებისა, სალის მსჯელობისა. მშობლები, საზოგადოება და უხეირო სკოლები აჩვევენ ყრმას ისეთს აზროვნებას, რაც უხშავს მას გონებას, უწერავს ცხოვრებისათვის მავნე აზრებს, აჩვევს გონებას მორჩილებას, მოთმინებას, უკლავს სიყვარულს თავისუფლებისადმი. ასე: ადამიანი მოსისხლე მტერი ხდება ბუნებისა; იმის მაგივრად, რომ ხელი შეუწყოს და განავითაროს ეს ძვირფასი განძი — თავისუფალი გრძნობა, მისცეს მას გონივრული მიმართულება, ცდილობს დაახლოს, მოსპობს იგი, სრულიად ამოაგდოს ძირიან-ფორჩვიანად ადამიანის გულიდან.

რას ქვიან თავისუფლება

პირველი გვერდიდან

ამ დროს საზოგადოება ვერა გრძობს რამდენად მოსისხლე მტერი ხდება იგი თავის თავისა. რატომ? მიტომ, რომ ხეს ტოტებს აქრის, ქერქს აცლის გარშემო ტანზე, რის გამო იგი ხელს უწყობს შტოების გახმობას, რასაც ადრე თუ გვიან თვით ხის გახმობაც მოსდევს. დიად, გამხმარია, ხმელია ის საზოგადოება, რომელთა წევრებიც მონურად, ყვეყნ-ჩერჩეტად არიან აღზრდილნი და არ უყვარს თავისუფლება, შხდება თავის თავის მტერი, სთელავს ფეხით თავისივე ბედნიერებას. ამისთანა საზოგადოება თუ სახელმწიფო ბუდდა ყოველწინის უსამართლობისა, ადვილად ჩნდება დაჩაგრულნი და მჩაგვრელნი, გაცარცულნი და მცარცველნი და იმართება მათ შორის ბრძოლა. დღეს ჩვენ ვართ მონამე და მონანილენი ამისთანა ბრძოლისა. ბედნიერებანართმეული ნანილი საზოგადოებისა (კლასი) უბრძვის მეორეს, რომელმაც მისი ბედნიერება მიითვისა, მისი თავისუფლება და ქონება. მჩაგვრელნი დღევანდლამდის თავისუფლად იქცეოდნენ: ფული, მინა, ფაბრიკები, ქარხნები, სახლები იმათ ხელშია. ეს სულ მოტყუილებით, მტარვალობით, სხვისთვის თავისუფლების ჩამორთმევით მოიპოვეს. დღეს დაჩაგრულმა ნანილმა იგრძნო ეს უსამართლობა, აახილა თვალები, გაიღვიძა მის გულში დაძინებულმა თავისუფლების სიყვარულმა, დღეს იგი ამბობს: დამიბრუნეთ წართმეული ბედნიერებაო!

თავისუფლება მტარვალთაგან (უმცირესობა) ხალხისათვის (უმრავლესობა) წართმეული, ბედნიერებაა. თუ ერთს ადამიანს სტანჯავს, სჩაგრავს ტუსალობა, თავისუფლების წართმევა, ფრინველს და ცხოველსა ჰკლავს, რა თქმა უნდა ხეირს არ დააყრის არც საზოგადოებას, რომელიც ადამიანთა კრებულია. როცა დამონებაში იმყოფება ქვეყანა, თავისუფლებას მოკლებული, იგი დამწყვედულია ციხეში.

თავისუფლების მტერია ის ადამიანი, ვისაც არ უყვარს თავისი თავი. თავმოყვარეობა ორნაირია: ბრიყვეული და გონივრული. ბრიყვეული, როცა ადამიანი მარტოდ-მარტო თავის თავზე ზრუნავს, მხოლოდ ფიქრობს მას: „მე ვირგო და სხვა წყალმა ზიდოსო. მე მქონდეს უფლება სხვა შეურაცხვეყო, და სხვას კი არა ჰქონდეს ნება პასუხი მომთხოვის. მარტო მქონდეს ნება ვცარცვო და მეორეს კი მოესპოს საშუალება თავის დაცვისა“. სხვის უფლება, ადამიანობა შელახოს დაუსჯელად, ხელშეუბრუნებლად. ამისთანა ადამიანი მსგავსია მხეცისა, იგივე მხეცია და მისი თავმოყვარეობა არის მხეცური. მგელიც ასე ფიქრობს, ოღონდ თვითონ გაძღეს და იმის ჭირის ნაცვალი იყოს ათასი სული ცხვარი და ათათასი. არაფერია მგლის ფიქრით ეს ცოდვა, ეს დანაშაული. თავისუფლება უნდა იყოს საერთო, საყოველთაო და არა საკუთრება რამდენიმე ადამიანისა, როგორც დღეს არი.

მაგრამ მაგარი ის არის, რომ დღეს არც მჩაგვრელები არიან თავისუფალნი; იმიტაც ძვირად უჯდებათ თავისუფლების შენარჩუნება. მგელი კი თავისუფალია ვითომ? არა. ისიც მუდამ შიშს ქვეშ იმყოფება, დღეს თუ ხვალ უნდა ამომშამდეს მგლობაო, ფიქრობს იგი, უნდა მომკლანო, ბოლო მგლისა მაინც ეს არი: უნდა მოკვდეს თოფით, სანამლავით ან ხაფანგში გაეხვას, სიკვდილი თან სდევს ყოველს ნაბიჯზე. მგელი ადამიანი მაინც სდევნის, თუნდ არაფერს აშავებდეს, რადგან მგელია, ნადირია, ტყავი აქვს გამოსადეგი. ხოლო მგლად ქცეულს ადამიანს ასე არ

უნდა მოვეყრათ! იმის განვრთნა, ჩვენ, - ადამიანთა ხელთ არი, ჩვენ უნდა მოვუსპოთ მას საშუალება, დაუკუკეთო ბილიკები მგლური ინსტიტუტების, სურვილების სანავარდო და მორჩა მგლობა.

თავისუფლების კანონთა თანახმად, შეიძლება მამ, სხვას ცოლი, ცხენი წაართვა კაცმა, ვსთქვათ, ივანემ პეტრეს, რადგან პირველს მოსწონს პეტრეს ცოლი და ცხენი? არა, თავისუფლება ამას არ გვიქადაგებს რომ ყოველი ჩვენი სურვილი, გრძნობა, ყოველი ჩვენი ვნება დაუკმაყოფილოთ წინდაუხედავად. ჩვენის გრძნობის დაკმაყოფილება და ჩვენთა სურვილთა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ამით ჩვენ სხვას, ცალკე ადამიანს ან საზოგადოებას თავისუფლებას არ წავართმევთ: რად უნდა წაართვას ივანემ პეტრეს ცოლი, როცა პეტრე არა სწუნობს თავის ცოლს, არამედ მოსწონს და უყვარს იგი? ხომ ცოდვაა, უნდა ტანჯვა-დარდში და ვარაში ჩავარდეს კაცი და მისი თავისუფლება შეილახოს. ვსთქვათ პეტრე წუნობს ცოლს და არ ეწყინება, თუ იგი ივანეს ნაჰყვება, მაგრამ შეიძლება თვით პეტრეს ცოლს არ მოსწონდეს ივანე. განა აქვს უფლება, ნება ივანეს შეახოს მას ხელი? არა ასჯერ არა. ამისთანა კანონებს არ ქადაგობს თავისუფლება. თუ ეს ასეა, მაშინ რად ვართმევთ დიდს მამულს, ტყის პატრონს თავიანთ საკუთრებას მამულ-დედულს? ხომ იმასაც უყვარს თავისი მამული? მამულის ჩამორთმევით ხომ ვართმევთ იმასაც თავისუფლებას? ვხელმძღვანელობთ ამ შემთხვევაში სიმართლის გრძნობით, თუ არა? იქნება უსამართლოდ ვიქცევით, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ? არა. არ ვიქცევით უსამართლოდ და აი რატომ. დიდი მამულის პატრონი ჯერ ერთი, რომ სხვებს, ასს, ათასს ართმევს თავისუფლებას, რადგან სხვის ნაშრომს იტაცებს, სხვას ლუკმას სტაცებს. ეს უნესობაა, უსამართლობაა და როგორც უნესობის ჩამდენს, მას უნდა მოესპოს საშუალება ამ გვარის ყოველცემის. მამულ-დედული ხომ იმის შრომით შექმნილი არ არი, იგი ღვთისგან ბოძებულია. იგი ძალმომრეობს, როცა ერისთვის როგორც ცალკე ადამიანისთვის, კანონები უნდა იყოს თვით ხალხის დადგენილი.

მამასადამე თავისუფლებამ უნდა მოგვცეს სიამოვნება. შეიძლება უსიამოვნებაც მიერგოს თავისუფალს ადამიანს, როგორც სასჯელი უხეირო საქციელისთვის, მაინც მისი თავისუფლება არ იქნება დარღვეული, რადგან ხალხისაგან შექმნილი კანონი, რომლის დადგენაში თვით იმასაც მონაწილეობა აქვს მიღებული, სჯის მას. ხომ იცით ჩვენებური გლეხკაცი რას ამბობს: „სამართლისაგან მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო“. ოღონდაც რომ ასეა. თავისუფლებამ უნდა მისცეს მუშას მთელი ნაყოფი შრომისა. უნდა მიცეს სწავლა, განათლება, თავის თავისა, თავის ერისა და კაცობრიობის გონივრული სიყვარული.

უნდა მიანიჭოს ნება, უფლება. იმ ხელობას დაადგეს, რომელიც მას მოსწონს და ეხერხება; იცხოვროს იქ, საცა მოისურვებს, ისე რომ სხვის თავისუფლება ოღონდ არ შეზღუდოს, სხვას უსიამოვნება არ მიაყენოს. უნდა უზასპორტოთ წავიდეს და მოვიდეს საცა უნდა. ვერავინ უნდა შეახოს მას ხელი, ვიდრე კანონი არ გადასწყვეტს. უნდა ილაპარაკო, სწერო საზოგადო საქმეებზე ისე, როგორც შენ გინდა, დაშლა არავის შეუძლიან, უნდა გამოსთქვა შენი აზრი, დაჰგმო დასაგმობი, აქო საქებარი.

შეთანხმების ანკეტა-მემორანდუმი

თუ თქვენ დაინტერესებული ხართ ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის ორგანოების სხდომებისა და დღის წესრიგის შესახებ SMS შეტყობინების სახით ინფორმაციის მიღებით, მონიშნეთ ქვევით ჩამოთვლილი თქვენთვის საინტერესო თემები და მიუთითეთ მობილურის ნომერი ან ელექტრონული ფოსტის მისამართი (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე თემაც).

- მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა
- ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი
- სოფლის მეურნეობა და მიწის მართვა
- გარემოსდაცვა და წარჩენების მართვა
- წყალმომარაგება და წყალანირება
- გარე ვაჭრობის და ბაზრობების რეგულირება;
- ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები
- გარე რეკლამის განთავსების რეგულაციები
- მშენებლობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა
- სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებები
- სასაფლაოების მოვლა, პატრონობა
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება;
- გეოგრაფიული ობიექტების, კერძოდ, უზნის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის და ა.შ. სახელდება
- სხვა

აღნიშნული ღონისძიებები ტარდება პროექტ „თვითმმართველობის სფეროების ეფექტურობის გაძლიერება მოსახლეობის ინფორმირების ახალი მეთოდების გამოყენებით“ ფარგლებში.

პროექტის მიზანია ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის ორგანოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესება, მოსახლეობის ინფორმირების ახალი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.

პროექტის მიზნიდან გამომდინარე ამჟამად მიმდინარეობს თვითმმართველობის საქმიანობით დაინტერესებული პირების მონაცემთა ბაზის შექმნა.

თვითმმართველობის საქმიანობით დაინტერესებული პირების მონაცემთა ბაზის შექმნა:
- გაფორმებული ანკეტა-მემორანდუმზე დაყრდნობით ინფორმაცია დაინტერესებული პირების შესახებ აისახება შესაბამის მონაცემთა ბაზაში, სადაც თითოეული პირის შესახებ მითითებული იქნება მობილურის ნომერი და თვითმმართველობის მიმართულებით ინტერესთა სფეროები.

სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით დაინტერესებული ჯგუფებისთვის შეტყობინებების დაგზავნა:
- კომისიების თუ საკრებულოს სხდომების დანიშნვიდან 1-2 დღით ადრე საკრებულო შესაბამისი ინტერესთა ჯგუფებისათვის მოახდენს SMS შეტყობინების დაგზავნას, სხდომების დღის წესრიგის, თარიღის, დროის, ადგილის მითითებით.

გთხოვთ მიუთითოთ თქვენი მობილური ნომერი _____




გთხოვთ მიუთითოთ თქვენი ელ.ფოსტა _____

ვეთანხმები და სურვილი მაქვს ჩემს მობილურზე ან ელ.ფოსტაზე მივიღო ინფორმაცია საკრებულოს საქმიანობის შესახებ. რასაც ვადასტურებ ხელმოწერით.

სახელი და გვარი _____ ხელმოწერა _____

შევსებული ანკეტა-მემორანდუმი შეგიძლიათ მოგვანოლოთ შემდეგ მისამართზე: ჩოხატაური: ა.წერეთლის №1; ზდასრულთა განათლების ცენტრი; ლანჩხუთი: ჟორდანიას 105, მე-2 სართული, ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრი; ოზურგეთი: 26 მაისის 11ა; ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი

გამოიცა გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის ფინანსური დახმარებით; საგაზეთო ჩანართში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს, მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის ოფიციალურ პოზიციას

Empowered lives. Resilient nations.